



The European Union
for Georgia
ENPARD



**ქეა ავსტრია
ლაგოდების განვითარების ჯგუფი
ხშირად დასმული კითხვები
პროექტი „სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა
საქართველოში“**

"სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში" (RDP) პროექტი არის სოფლის განვითარების საპილოტე პროექტის გაგრძელება (მე-2 ფაზა), რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება ქეა-ს მიერ ლაგოდების მუნიციპალიტეტში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) ფარგლებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს ადმინისტრაციული, საზოგადოებაზე ორიენტირებული სოფლის განვითარების მიდგომა, რომელიც მხარს დაუჭერს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ლაგოდების მუნიციპალიტეტში. პროექტის ხანგრძლივობა 24 თვეა (1 ნოემბერი 2017 წელი - 31 ოქტომბერი 2019 წელი). პროექტის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო პროგრამის მიზანია ლაგოდების მუნიციპალიტეტში სოფლად სიღარიბის შემცირების, სამუშაო ადგილების შექმნისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სტიმულირება, კერძოდ: ისეთი ტიპის არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისა და ლაგოდების განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ გამოვლენილ სტრატეგიულ პრიორიტეტებს პასუხობენ.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხშირად დასმული კითხვები:

1. ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

ფიზიკურ და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

2. რა ეტაპებს მოიცავს საგრანტო კონკურსი?

საგრანტო კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს, რა დროსაც მიიღება და საბოლოოდ შეირჩევა საპროექტო განაცხადები.

3. რა სახის საპროექტო განაცხადები განიხილება?

საგრანტო პროგრამის ფარგლებში განიხილება კომერციული(სასოფლო და არასასოფლო),სოციალური ინფრასტრუქტურისა და სოციალური მიმართულებები.

4. ვინ განიხილავს საპროექტო განაცხადებს?

საპროექტო განაცხადებს განიხილავს ლაგოდების განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს წევრები, ქვა ავსტრიის თანამშრომლები და მოწვეული ექსპერტები.

5. რა საბუთებია საჭირო საპროექტო განაცხადის წარმოსადგენად?

შერჩევის პირველ ეტაპზე განმცხადებელი ავსებს საპროექტო იდეის ფორმას, რომელიც შემუშავებულია პროექტის მიერ. შერჩევის მეორე ეტაპზე წარმატებით გადასვლის შემთხვევაში განმცხადებელს მოეთხოვება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომლის დეტალური ჩამონათვალი გადაეცემა მოგვიანებით.

6. რა ვადაში ეცნობებათ განმცხადებლებს თავიანთ საპროექტო იდეებზე გადაწყვეტილების შესახებ?

შერჩევის პირველ ეტაპზე საგრანტო იდეის ფორმის წარმოდგენის შემდგომ გადაწყვეტილება მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ განმცხადებლებს ეცნობებათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგრანტო კომისია განიხილავს წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებს, არაუგვიანეს წარმოდგენის ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადისა.

7. რა ოდენობის თანხა გაიცემა საგრანტო კონკურსში? თუ არსებობს მაქსიმალური ან/და მინიმალური საგრანტო თანხის ზღვარი?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი გრანტის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმალური და მაქსიმალური თანხის მოთხოვნებს:კომერციული (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო)

- მინიმალური ოდენობა - 5 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა - 30 000 ევროს ექვივალენტი ლარში

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია

- მინიმალური ოდენობა - 3 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა - 20 000 ევროს ექვივალენტი ლარში

სოციალური და არაკომერციული მიმართულებები: ადვოკატირება, სოციალური აქტივობა, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები

- მინიმალური ოდენობა : 1 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა : 10 000 ევროს ექვივალენტი ლარში

8. შესაძლებელია თუ არა განმცხადებელმა წარადგინოს ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი?

შესაძლებელია, თუმცა დასაფინანსებლად შერჩეულ იქნება მხოლოდ ერთი განაცხადი.

9. შესაძლებელია თუ არა საპროექტო განაცხადი ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას?
დიახ, შესაძლებელია თანადაფინანსება როგორც ფულადი, ისე არაფულადი შენატანით.

10. რა ვადაში უნდა დასრულდეს საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი საქმიანობა?

საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2019 წლის 30 ივნისისა.

დამატებითი ინფორმაცია საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით გაიცემა „ქეა ავსტრის“ –ს ლაგოდების ოფისში შემდეგ მისამართზე: ქალაქი ლაგოდეხი, ზაქათაღის ქ 23.